შვედეთი Sverige

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

ივლისი 2025

საქართველოს აგრო-სურსათის ექსპორტის გამოვლენილი შედარებითი უპირატესობა:

ტენდენციები და სავაჭრო დინამიკა (2020–2024)

ავტორები:
მარიამ ლობჯანიძე
ელენე სეთურიძე
თათია ხიდაშელი

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსი არის ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობა და არცერთ შემთხვევაში არ ასახავს შვედეთის პოზიციას.

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს მთლიანი ექსპორტი შესამჩნევად გაიზარდა. თუ მისი ღირებულება 2014 წელს დაახლოებით 2.86 მლრდ აშშ დოლარი იყო, 2024 წელს 6.55 მლრდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. ეს ცვლილება, რაც ასახავს ექსპორტის ღირებულების ორზე მეტჯერ ზრდას, ქვეყნის საექსპორტო სექტორის მნიშვნელოვნად გაფართოებაზე მიუთითებს.

ამ პერიოდში აგრო ექსპორტიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება: 2014 წელს 825.8 მლნ აშშ დოლარიდან 2024 წელს თითქმის 1.68 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. თუმცა ზრდის მიუხედავად, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში მცირდებოდა. აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში ყველაზე დიდი – 32.7% – 2016 წელს იყო, როდესაც სოფლის მეურნეობა ქვეყნის ექსპორტისთვის მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მას შემდეგ წილი შემცირდა და მინიმუმს – 22.4% – 2022 წელს მიაღწია, 2024 წელს კი 25.6% შეადგინა.

აგრო ექსპორტის წილის ეს კლებადი ტენდენცია, სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდასთან ერთად, იმაზე მიუთითებს, რომ სხვა სექტორების ექსპორტი (ინდუსტრიული ან მომსახურება) უფრო სწრაფი ტემპით იზრდება. მონაცემები ცხადჰყოფს, რომ საქართველოს ექსპორტის შემადგენლობა სტრუქტურულად იცვლება, რომელშიც არასასოფლო-სამეურნეო სექტორები მზარდად დომინანტი ხდება. თუმცა ისიც ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობა რჩება ქვეყნის საექსპორტო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილად, რომელზეც 2024 წელს 1.6 მლრდ აშშ დოლარზე მეტი მოდიოდა.

1-ელი გრაფიკი აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საქართველოს საგარეო ვაჭრობაში და, ამასთანავე, რამდენად მზარდია ექსპორტის დივერსიფიკაცია. სექტორის მოდერნიზაციასა და უფრო მაღალი დამატებული ღირებულების ჯაჭვებში ინტეგრაციის სტრატეგიების შემუშავებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს აგრო სექტორში კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებზე.

გრაფიკი 1. საქართველოს მთლიანი ექსპორტი, აგრო ექსპორტი და აგრო ექსპორტის პროცენტული წილი მთლიან ექსპორტში (2014-2024)



წყარო: საქსტატი, 2025

ექსპორტის ტენდენციების გაანალიზების შემდეგ, აქტუალური ხდება საქართველოს აგრო ექსპორტის პროდუქტების კონკურენტუნარიანობის შესწავლა გლობალურ ბაზრებზე. იმის გაგება, თუ რომელ პროდუქტებშია სპეციალიზებული ქვეყანა, შეიძლება ღირებულ ინფორმაციას იძლეოდეს ინვესტიციების პრიორიტეტიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგიების შემუშავებისთვის. ამ მიზნისთვის ერთ-ერთი კარგად დამკვიდრებული ინსტრუმენტია გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ინდექსი, რომელიც 1965 წელს ბელა ბალასამ შეიმუშავა. მას შემდეგ RCA ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინდიკატორია ვაჭრობის დიაგნოსტიკისთვის, რომელიც გამოიყენება აკადემიურ კვლევებსა და ინსტიტუციურ ანგარიშებში ექსპორტის შედარებითი უპირატესობის მქონე სექტორების იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ვაჭრობის შედეგების ინსტრუმენტი (Trade Outcomes Tool), რომელიც UN COMTRADE-ის მონაცემებს ეყრდნობა, სწორედ RCA-ს იყენებს ვაჭრობის კონკურენტუნარიანობისა და სექტორის მუშაობის შესაფასებლად.

RCA ინდექსი კონკრეტული პროდუქტის წილს ქვეყნის ექსპორტში ადარებს იმავე პროდუქტის წილს მსოფლიო ექსპორტში. RCA-ს 1-ზე მეტი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ქვეყანა შედარებით უფრო სპეციალიზებულია ამ პროდუქტის ექსპორტში, ვიდრე მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი, რაც პოტენციურ კონკურენტულ უპირატესობაზე მიუთითებს. ქვეყნებსა და პროდუქტებს შორის შედარებადობის გაუმჯობესების მიზნით, ხშირად RCA-ს სიმეტრიულ ფორმას იყენებენ. ეს არის გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის სიმეტრიული ინდექსი (RSCA), რომელიც -1-დან +1-მდე მერყეობს. ეს ტრანსფორმაცია აგვარებს თავდაპირველი ინდექსის ასიმეტრიულობის პრობლემას და უფრო მკაფიოს ხდის განსხვავებას ძლიერ, ნეიტრალურ და სუსტ შედარებითი უპირატესობებს შორის.

ამ ნაშრომში RSCA მეთოდოლოგია გამოიყენება საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ექსპორტზე HS4 პროდუქტის დონეზე, 2020–2024 წლების სავაჭრო მონაცემებზე დაყრდნობით. ანალიზის მიზანია, იმ პროდუქტების იდენტიფიცირება, რომლებშიც საქართველო საექსპორტო სპეციალიზაციას ავლენს. დამატებითი კონტექსტისთვის, შედარებით უპირატესობასთან ერთად განხილულია 2024 წლის სავაჭრო ბალანსის მონაცემები დადებითი RSCA-ს მქონე თითოეული პროდუქტისთვის, რაც საშუალებას იძლევა უკეთ შეფასდეს სექტორის მდგომარეობა და მისი პოტენციალი.

მეთოდოლოგია

ანალიზი იყენებს გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ინდექსს საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის სტრუქტურის შესაფასებლად. RCA ზომავს პროდუქტის შედარებით უპირატესობას ექსპორტში, რისთვისაც იგი ქვეყნის მთლიან ექსპორტში პროდუქტის წილს ადარებს გლობალურ ექსპორტში ამავე პროდუქტის წილს. თუ RCA-ს მნიშვნელობა 1-ზე მაღალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა შედარებით სპეციალიზებულია ამ პროდუქტში; ინდექსის 1-ზე დაბალი მაჩვენებელი ექსპორტის საშუალოზე დაბალ ინტენსივობაზე მიუთითებს.

RCA ინდექსი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$RCA = \frac{x_{ij}/X_{it}}{x_{wj}/X_{wt}}$$

სადაც:

- x_{ij} არის *i* ქვეყნის *j* პროდუქტის ექსპორტის ღირებულება
- X_{it} არის *i* ქვეყნის მთლიანი ექსპორტი
- x_{wj} არის პროდუქტ *j*-ის მსოფლიო ექსპორტი
- X_{wt} არის მთლიანი მსოფლიო ექსპორტი

ინდექსის ინტერპრეტაციის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით შედარებითი და სტატისტიკური ანალიზისთვის, გამოიყენება RCA ინდექსის სიმეტრიული ფორმა. სტანდარტული RCA ასიმეტრიულია 1-ის გარშემო: მნიშვნელობები მერყეობს 0-დან 1-მდე სპეციალიზაციის არმქონე სექტორებისთვის და 1-დან უსასრულობამდე სპეციალიზაციის მქონე სექტორებისთვის, რაც ართულებს მაჩვენებლის ინტერპრეტაციას. ამ პრობლემის გადასაჭრელად, ინდექსის გარდაქმნა შესაძლებელია გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის სიმეტრიულ ინდექსად (RSCA) შემდეგი ტრანსფორმაციის გამოყენებით:

$$RSCA = (RCA - 1)/(RCA + 1)$$

RSCA უწყვეტი ინდექსია -1-დან +1-მდე, რომლის დადებითი მნიშვნელობები შედარებით უპირატესობაზე მიუთითებს, ხოლო უარყოფითი მნიშვნელობები – სპეციალიზაციის არქონაზე. სიმეტრიული ფორმა განსაკუთრებით გამოსადეგია ისეთი ანალიზის დროს, როდესაც მნიშვნელოვანია სექტორების სპეციალიზაციის დონის შედარება.

მოკლევადიანი სავაჭრო რყევებისა და ერთჯერადი შოკების გავლენის შესამცირებლად, გამოთვლები ეფუძნება ხუთი წლის ექსპორტის საშუალო ღირებულებებს (2020–2024) როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს შემთხვევაში.

შედეგები

ხუთწლიან საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოვლინდა, რომ საქართველო თითქმის 200 HS4-დონის კატეგორიიდან (HS თავები 01-24) 34-ში ავლენს შედარებით უპირატესობას (RSCA>0). ეს ის პროდუქტებია, რომლებიც აჩვენებს საქართველოს შედარებით უფრო ძლიერ პოზიციებს გლობალურ სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობაში. ამ ტენდენციებს ამყარებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს მუდმივად აქვს პოზიტიური სავაჭრო ბალანსი ამავე პროდუქტების უმრავლესობისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპორტის სპეციალიზაცია და ფაქტობრივი სავაჭრო შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია. დადებითი RSCA-ს მქონე 34 კატეგორიიდან 26 კატეგორიას დადებითი სავაჭრო სალდო აქვს (2020-2024 წლების საშუალო).

სოფლის მეურნეობის პროდუქტებს (HS4 დონე) შორის ყველაზე მაღალი შედარებითი უპირატესობით პირველი ხუთი კატეგორია არის:

- მინერალური და მტკნარი წყლები (HS 2201)
- ცხვრები და თხები ცოცხალი (HS 0104)
- წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისაგან (HS 1106)
- ყურძნის ნატურალური ღვინოები (HS 2204)
- კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები (HS 0910)

ეს სექტორები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და ტრადიციული წარმოების ძლიერ მხარეებთან. მაგალითად, RSCA-ს მაღალი მაჩვენებლი მინერალური წყლებისა და ღვინის კატეგორიებისთვის დაკავშირებულია საერთაშორისოდ აღიარებულ ქართულ ბრენდებთან.

სასმელები დომინირებს საქართველოს აგრო-სურსათის საექსპორტო კალათაში. „მინერალური და მტკნარი წყლები, რომლებიც არ შეიცავენ დამატებულ შაქარს“ (HS 2201) აჩვენებენ განსაკუთრებით მაღალ RSCA-ს (0.97) და საშუალოდ დაახლოებით 133 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ნამატს. აშკარაა, რომ ეს პროდუქტი წამყვანი საექსპორტო საქონელია საქართველოსთვის, რომელიც ასახავს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების

გამოყენებისა და საერთაშორისო ბაზარზე მყარი პოზიციონირების კომბინაციას. წამყვან პროდუქტებს შორისაა „ყურძნის ნატურალური ღვინოებიც“ (HS 2204), რომლის RSCA 0.89-ს შეადგენს და მასზე დაახლოებით 242 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ნამატი მოდის. შემდეგია „ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები“ (HS 2208), რომლის RSCA 0.85-ს შეადგენს და მისი პოზიტიური სავაჭრო ბალანსი 139 მლნ აშშ დოლარს აღწევს. ერთობლივად, სასმელების კატეგორიაში შემავალი პროდუქტები საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რომლებზეც მუდმივად არსებობს გლობალური მოთხოვნა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არის კიდევ ერთი კატეგორია, რომელიც ექსპორტის სპეციალიზაციით გამოირჩევა. „ცოცხალი ცხვრებისა და თხების“ (HS 0104) კატეგორიის RSCA 0.97-ს შეადგენს და მასზე დაახლოებით 29.7 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ნამატი მოდის. „ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის“ (HS 0102) კატეგორიის RSCA-ს 0.87-ია და 40 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პოზიტიურ სავაჭრო სალდოს ქმნის. ეს შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს აქვს შედარებითი უპირატესობა ამ მიმართულებით და პოზიციონირებს როგორც ცოცხალი ცხოველების რეგიონული მიმწოდებელი, რასაც ხელს უწყობს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციები და ამ კატეგორიის პროდუქტებზე მზარდი მოთხოვნის მქონე რეგიონებთან სიახლოვე.

ხილისა და თხილის კატეგორიაში, „თხილისა და სხვა თხილეულის“ (HS 0802) კატეგორიის RSCA 0.87-ია და 81.3 მლნ აშშ დოლარის საშუალო სავაჭრო ნამატს ქმნის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო ერთ-ერთი წამყვანია თხილის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის. ხილის სხვა კატეგორიების RSCA ზომიერი, მაგრამ დადებითია და მნიშვნელოვან პოზიტიურ სავაჭრო სალდოს ქმნის. „ახალი გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო“ (HS 0809) კატეგორიის RSCA 0.8-ია და 30 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ნამატს ქმნის, „ციტრუსების“ (HS 0805) კატეგორიის RSCA 0.65-ია და მათი ექსპორტის ღირებულება 14 მლნ აშშ დოლარით აღემატება იმპორტის ღირებულებას. „გადამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის წვენები“ (HS 2009), „გამხმარი ნაყოფები“ (HS 0813) და „სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული ნაყოფი და მცენარის სხვა

ნაწილები“ (HS 2008) - ჩამოთვლილი კატეგორიების RSCA 0.4-0.5 შორის მერყეობს და თითოეული მათგანი რამდენიმე მლნ აშშ დოლარის პოზიტიურ სავაჭრო სალდოს ქმნის.

საერთაშორისო ვაჭრობაში კარგ შედეგებს აჩვენებს რამდენიმე ნიშური აგრო-სასურსათო პროდუქტიც. „წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისაგან“ (HS 1106) კატეგორია გამოირჩევა მაღალი RSCA მაჩვენებლით (0.89) და საშუალოდ 5.3 მლნ აშშ დოლარის პოზიტიურ სავაჭრო სალდოს ქმნის, რაც ქვეყნის მცენარეულ პროდუქტებში (მაგ.: ბარდის ან ლობიოს ფქვილი) სპეციალიზაციაზე მიუთითებს. „თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები“ (HS 1504) კატეგორიის RSCA 0.86-ს შეადგენს და 14.8 მლნ აშშ დოლარის სავაჭრო ნამატს ქმნის. ასეთი შედეგი შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ადგილობრივ შავი ზღვის მეთევზეობას, ისე რეექსპორტს. „კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები“ (HS 0910) კატეგორიის RSCA 0.87-ს შეადგენს და მათი ექსპორტის ღირებულება 15.8 მლნ აშშ დოლარით აღემატება იმპორტის ღირებულებას. აღნიშნული ადასტურებს საქართველოს მყარ პოზიციას რეგიონში სანელებლებით ვაჭრობაში.

საერთო ჯამში, RSCA-ს მაღალ მაჩვენებლებსა და დადებით სავაჭრო ბალანსს შორის ძლიერი კორელაცია არსებობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო უფრო მეტად იყენებს თავის შედარებით უპირატესობებს სასმელების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, თხილის, ხილისა და რამდენიმე ნიშურ კატეგორიაში. რაც უფრო მაღალია RSCA-ს მაჩვენებელი (განსაკუთრებით, როცა აღემატება 0.8-ს) მით მეტია დადებითი სავაჭრო სალდო, რაც ადასტურებს, რომ ეს სექტორები არა მხოლოდ ექსპორტ-ინტენსიურია, არამედ ეკონომიკურადაც ღირებულია.

თუმცა რამდენიმე გამონაკლისი ხაზს უსვამს RSCA-ს ნაკლოვანებას მისი განცალკევებულად განხილვისას. მაგალითად, „სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან“ (HS 2402) კატეგორიის RSCA 0.7-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ ექსპორტის სპეციალიზაცია ზომიერია, თუმცა სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და დეფიციტი დაახლოებით 76 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ეწევა თამბაქოს ექსპორტს, მეტწილად რეექსპორტისა და მწირი ადგილობრივი

წარმოების პირობებში, ქვეყანას უფრო მეტი პროდუქტი შემოაქვს, ვიდრე ექსპორტზე გააქვს. ანალოგიური სურათი გვაქვს გადამუშავებული სურსათისა და ცხოველური პროდუქტების შემთხვევაშიც. „ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული“ (HS 0207) კატეგორიის RSCA 0.21-ია, ხოლო „ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები“ (HS 2101) კატეგორიის RSCA – 0.18, მაგრამ ორივე კატეგორიას დიდი სავაჭრო დეფიციტი აქვს: ფრინველის ხორცის შემთხვევაში დეფიციტი 65.7 მლნ აშშ დოლარია, ხოლო ყავისა და ჩაის ექსტრაქტების ან კონცენტრატების შემთხვევაში – 18.8 მლნ აშშ დოლარი. ასეთი დეფიციტი შეიძლება გამოწვეული იყოს მიწოდების ჯაჭვში არსებული შეზღუდვებით, განუვითარებელი ადგილობრივი წარმოებით ან მაღალი ადგილობრივი მოხმარებით, რომელიც მიწოდებას აღემატება.

ასეთი გამონაკლისი შემთხვევები ხაზს უსვამს, რომ RSCA სასარგებლო ინსტრუმენტია ექსპორტის სტრუქტურის შესაფასებლად და უპირატესობების აღმოსაჩენად. თუმცა, მისი განხილვა სავაჭრო ბალანსთან ერთად ვაჭრობის დინამიკის შედარებით სიღრმისეულად გაანალიზების საშუალებას იძლევა. პროდუქტს შეიძლება ჰქონდეს მაღალი RSCA, რადგან ის საქართველოს საექსპორტო კალათაში შედარებით დიდი წილით არის წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ვერ წარმოქმნას დადებითი სავაჭრო სალდო. ამ შემთხვევაში, RSCA მიუთითებს გამოუყენებელ შედარებით უპირატესობაზე, სადაც მიზნობრივმა ინვესტირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სპეციალიზაციის პოტენციურ ეკონომიკურ სარგებლად გარდაქმნას.

ცხრილი N1: სოფლის მეურნეობის სექტორები გამოვლენილი შედარებითი უპირატესობით: RCA, RSCA და სავაჭრო ბალანსი 34 HS4-დონის პროდუქტის კატეგორიისთვის:

HS4		RCA	RSCA	საშუალო სავაჭრო ბალანსი (ათასი აშშ დოლარი) (2020-2024)
2201	მინერალური და მტკნარი წყლები	75,73	0,97	132933,88
0104	ცხვრები და თხები ცოცხალი	59,52	0,97	29682,48
1106	წმინდად და უხეშად დაფქული ფქვილი და ფხვნილი გამხმარი პარკოსანი ბოსტნეულისაგან	17,42	0,89	5327,44
2204	ყურძნის ნატურალური ღვინოები	16,64	0,89	242401,28
0910	კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები	14,33	0,87	15846,50
0802	კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი	14,02	0,87	81286,26
0102	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცოცხალი	13,92	0,87	40257,19
1504	ცხიმები, ქონები და მათი ფრაქციები, თევზის ან ზღვის ძუძუმწოვრების	13,10	0,86	14816,80
2208	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	12,71	0,85	138657,39
2403	სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	10,44	0,83	10959,49
0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო, ახალი	9,24	0,80	29953,59
2202	წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	8,20	0,78	61008,74
0508	მარჯანი და ანალოგიური მასალები, დაუმუშავებელი ან პირველადი დამუშავებით	7,73	0,77	428,80
2301	ფქვილი და გრანულები ხორცის, თევზის ან კიბოსნაირებისაგან	6,21	0,72	16677,79
2402	სიგარები, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისაგან	5,77	0,70	-76342,11

0805	ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი	4,79	0,65	14163,76
2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები	3,90	0,59	4,82
0105	შინაური ფრინველი ცოცხალი	3,83	0,59	-961,56
0604	ფოთლები, ტოტები და მცენარეების სხვა ნაწილები	3,65	0,57	1225,98
2008	ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული	3,09	0,51	5373,04
0701	კარტოფილი, ახალი ან შეყინული	3,06	0,51	2337,53
0810	ნაყოფები სხვა, ახალი	2,70	0,46	18529,01
0814	ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების ქერქი	2,47	0,42	93,36
2009	ხილისა და ბოსტნეულის წვენები	2,40	0,41	7405,98
0813	ნაყოფები გამხმარი	2,34	0,40	549,42
1211	მცენარეები პარფიუმერიის, ფარმაცევტული და ანალოგიური მიზნებისათვის	2,02	0,34	2262,59
0808	ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი	1,93	0,32	3515,33
2304	კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას	1,75	0,27	-8014,72
0207	ხორცი და კვების სუბპროდუქტები შინაური ფრინველის, ახალი, გაცივებული ან გაყინული	1,52	0,21	-65683,39
2101	ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები	1,45	0,18	-18831,04
0209	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამოცალკევებული და შინაური ფრინველის ქონი	1,36	0,15	-2993,35
0407	ფრინველის კვერცხი, ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული	1,35	0,15	-2079,27
0902	ჩაი, არომატიზებული ან არაარომატიზებული	1,31	0,13	-5815,52
1109	მინერალური და მტკნარი წყლები	1,07	0,04	178,43

დასკვნა

გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის (RCA) ანალიზი კვლავ ღირებულ ინსტრუმენტად რჩება გლობალურ ბაზარზე ქვეყნის სავაჭრო სპეციალიზაციისა და სექტორული ძლიერი მხარეების შესაფასებლად. RCA და მისი სიმეტრიული ფორმა RSCA ქვეყნის ექსპორტის დინამიკას გლობალურ ტენდენციებს ადარებს და ამგვარად გვთავაზობს თანმიმდევრულ ინსტრუმენტს იმისთვის, რომ დავადგინოთ ქვეყნის შედარებითი საექსპორტო უპირატესობა. ეს ანალიზი განსაკუთრებით სასარგებლოა იმ სექტორების გამოსავლენად, სადაც საქართველოს კარგი შედეგები აქვს (მაგ.: მინერალური წყლები, ღვინო და ცოცხალი ცხოველები), რაც კარგი დასაწყისია სექტორების პრიორიტეტიზაციისა და მათში ინვესტირების დაგეგმვისთვის.

თუმცა, მხოლოდ RSCA არ არის საკმარისი ქვეყნის სავაჭრო კონკურენტუნარიანობის ან ექსპორტის პოტენციალის სრულყოფილად შესასწავლად. მაშინ როცა ინდექსი კარგად იჭერს გლობალურ ვაჭრობაში ქვეყნის შედარებით უპირატესობას, ის არ ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობები, მიწოდების მხარეს არსებული შეზღუდვები, საწარმოო საშუალებების ხარჯები, ხარისხის სტანდარტები ან ბაზარზე შესვლის ბარიერები. RSCA-ს შესავსებად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ დამატებითი ინდიკატორები, როგორებიცაა სავაჭრო ბალანსი, საექსპორტო ერთეულის ღირებულება, წარმოების მოცულობა, შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა და ბაზრის დივერსიფიკაცია. ეს მაჩვენებლები სტრუქტურული კონკურენტუნარიანობისა და უპირატესობის მქონე სექტორებში ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობის უფრო მკაფიო სურათს გვაძლევს.

მთლიანობაში, 2020-2024 წლების მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს აგრო-სურსათის სავაჭრო სტრუქტურა ძირითადად თანხვედრაშია მის შედარებით უპირატესობებთან. ამასთანავე, გამოვლენილია რამდენიმე სექტორი, რომელთა შემდგომმა განვითარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სავაჭრო დეფიციტის შემცირებას და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას. RSCA-ს სავაჭრო ბალანსთან ერთად განხილვა ხელს უწყობს პოტენციურ და ფაქტობრივ შედეგებს შორის

სხვაობის გამოვლენას, რითაც გამოკვეთს იმ სფეროებს, სადაც მიზნობრივმა ჩარევებმა შესაძლოა გააუმჯობესოს კონკურენტუნარიანობა და ექსპორტის შედეგები. ამრიგად, RCA-ზე დაფუძნებულ ანალიზს შეიძლება ეყრდნობოდეს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ფართო სპექტრი. ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს ექსპორტის ხელშეწყობისთვის პრიორიტეტული სექტორების გამოვლენას, ინვესტიციების მიმართვას ინფრასტრუქტურასა თუ სასერტიფიკატო სისტემებში და ეროვნული განვითარების მიზნებთან ან სავაჭრო შეთანხმებებთან შესაბამისობის შეფასებას. ასევე, RCA გამოყენება შეიძლება, როგორც დიაგნოსტირების ინსტრუმენტი გასული პერიოდების ან სხვადასხვა ქვეყნის შედეგების შედარებისთვის.

ISET-ის კვლევით ინსტიტუტზე

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი არის მიუკერძოებელი, სამეცნიერო, ეკონომიკური კვლევითი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სფეროში მაღალი ხარისხის, აკადემიურად დასაბუთებული კვლევების ჩატარებაზე. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მუშაობა ეფუძნება სამეცნიერო სტანდარტებსა და მეთოდებს.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტს ეკონომიკური ინდექსების და სამეცნიერო კვლევითი პუბლიკაციების ფართო პორტფელი აქვს. იგი ახორციელებს ტექნიკურ, ეკონომიკურ და სექტორულ ანალიზებს, ასევე აღწერით და შედარებით კვლევებს. ინსტიტუტი ქმნის და იყენებს მოწინავე ეკონომიკურ და რაოდენობრივ-ანალიტიკურ ინსტრუმენტებს და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს.

2011 წლიდან, დაარსების დღიდან, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი იქცა ერთ-ერთ ყველაზე სანდო ეკონომიკურ ანალიტიკურ ცენტრად, რომელიც ცნობილია თავისი აკადემიური კეთილსინდისიერებით, მეთოდოლოგიური სიზუსტითა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული კვლევებით.

ინსტიტუტში მუშაობენ ეკონომისტები და მკვლევრები, რომელთა კვლევითი საქმიანობა მოიცავს მრავალფეროვან თემატიკას. სამეცნიერო საქმიანობის დიდი ნაწილი ხორციელდება საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებთან, აკადემიურ ინსტიტუტებთან და სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ISET

ISET POLICY INSTITUTE

www.iset-pi.ge

iset-pi@iset.ge

+995 322 507 177